# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 216

„23" ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ივერი ფრანგიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ"ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების მეცნიერის, პროფესორ ივერი ფრანგიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6)

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_486457.9334
Y_ 4624613.1007
ივერი ფრანგიშვილის
ქუჩა
X_487266.8342
Y_ 4623972.9358